საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2334-03
20/08/2020

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლისათვის საბაკალავრო საფეხურზე აბიტურიენტთა რეგისტრაციის ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის" 39-ე მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების საფუძველზე, რექტორის 2020 წლის 17 აგვისტოს N1283-02 ბრძანების გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. 2020-2021 სასწავლო წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურზე, რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე, აბიტურიენტთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 1 სექტემბრიდან 15 სექტემბრის ჩათვლით, ქვემოთ ჩამოთვლილ მისამართებზე:

ა) მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი - მის.: ჭავჭავაძის გამზ. N32, ოთახი A101

ბ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი - მის.: გ.წერეთლის გასასვლელი N3 ოთახი S103;

გ) სამართლის სკოლა - მის.: ჭავჭავაძის გამზ. N32, ოთახი A304;

დ) ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი - მის.: ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. N3/5, E კორპუსი, უნიფუდის ტერიტორია.

2. 2020-2021 სასწავლო წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურზე სწავლის დაწყების მსურველმა აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მისი ასლი (1 ეგზემპლარი). უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;

ბ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - ატესტატის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი. უცხოეთში მიღებული სრული ზოგადი განათლების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დოკუმენტი;

გ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ ვაჟებისთვის);

დ) 1 ფოტოსურათი ზომით $^3/_4$ და ელ.ვერსია ელექტრონულ მატარებელზე(CD).

ე) სოციალურად დაუცველის სტატუსის შემთხვევაში ცნობა გაცემული შესაბამისი ორგანოდან.

3. 18 წლამდე აბიტურიენტს თან უნდა ახლდეს კანონიერი წარმომადგენელი და თან იქონიოს წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (მშობლის უფლების მქონე პირის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და აბიტურიენტის დაბადების მოწმობა, ხოლო მეურვის მიერ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები).

4.რეგისტრაციისთვის სტუდენტები სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში უნდა გამოცხადდენ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი მითითებების/რეკომენდაციების დაცვით;

5. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს ეთხოვოს ინგლისური ენის დონის დასადგენად ტესტის ჩატარების უზრუნველყოფა;

6. დაევალოთ ფაკულტეტებს/სკოლას შესაძლებლობის შემთხვევაში უზრუნველყონ საბაკალავრო საფეხურზე მიღების პროცედურის დისტანციურ რეჟიმში, ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით განხორციელება, ხოლო ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში სტუდენტთა დაშვება სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში უნდა მოხდეს საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი მითითებების/რეკომენდაციების დაცვით;

7. 2020-2021 სასწავლო წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურზე რეგისტრაციაგავლილ აბიტურიენტებთან ხელშეკრულების გაფორმების ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2020 წლის 15 სექტემბერი;

8. ფაკულტეტებს დაევალოთ, არაუგვიანეს 2020 წლის 23 სექტემბრისა უნივერსიტეტის რექტორს წარუდგინონ იმ აბიტურიენტთა სია, ვინც გააფორმა უნივერსიტეტთან ხელშეკრულება;

9. სარეგისტრაციო პორტალის გამართულად მუშაობაზე პასუხისმგებლობა დაეკისროს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსს, გიორგი ქობულაშვილს;

10. ამ ბრძანების შესრულებაზე პასუხისმგებლობა დაეკისროთ ფაკულტეტის/სკოლის დეკანებს.

11. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა დაინტერესებულ პირთათვის.

12. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა თვალსაჩინო ადგილზე ბრძანების გამოკვრის გზით;

13. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ფაკულტეტებს/სკოლას, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, უნივერსიტეტის კანცელარიას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეებს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, განვითარების სამსახურს, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს, ბიბლიოთეკას, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების სამსახურს და ყველა დამხმარე ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი